



19 დეკემბერი 2014

სოსო სტურუა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზია და რადიო“

ს/ნ 245 675 880

კომპანია შპს „აჭარა ელიტაუდიტს“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს შორის 2014 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჩვენი მიზანი იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში „ორგანიზაცია“) 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდის საგადასახადო აღრიცხვიანობის მიმოხილვა და მისი შესაბამისობის დადგენა ამავე პერიოდებში მოქმედ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან მიმართებაში.

ჩვენ მიმოვიხილეთ ჩვენთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია საგადასახადო კუთხით და ანგარიშის სახით წარმოგიდგინეთ საგადასახადო რისკებს, ჩვენს შენიშვნებს და რეკომენდაციებს.

ამ მიმოხილვასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეკითხვის წარმოშობის ან საკითხის უფრო დეტალურად განხილვის მოთხოვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შპს „აჭარა ელიტაუდიტს“.

პატივისცემით,

დიმიტრი თედორაძე

დირექტორი

კომენტარები

1. საშემოსავლო გადასახადი

ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 ნოემბრამდე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები, სადაც რაიმე უზუსტობები არ გამოვლენილა.

შესამოწმებელ პერიოდში ორგანიზაცია მიერ დარიცხული ხელფასი შეადგენდა 2 656 827,4 ლარს, გადასახადის გადამხდელის მოწმობის არ მქონე ფიზიკურ პირებზე დარიცხული თანხა 8 660 ლარს, ხოლო არარეზიდენტებზე დარიცხული თანხა 461 626,29 ლარს, რომლებზედაც დაქვითული საშემოსავლო გადასახადი სულ შეადგენს 579 260,11 ლარს.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა თარიღში უზუსტობა, კერძოდ 2014 წლის 23 მაისს გაცემული ხელფასი 825 ლარი, დეკლარაციაში ასახულია 27 მაისს. აქვე აღნიშნავთ რომ 2014 წლის მარტი, აპრილი და მაისის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები არ არის სრულყოფილად შევსებული, კერძოდ არ არის მითითებული გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. ჩვენი რეკომენდაციაა მოხდეს აღნიშნული დეკლარაციების კორექტირება, ვინაიდან შესაძლებელია საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნულ თვეებზე მოხდეს სსკ-ის 291-ე მუხლის გავრცელება (ჯარიმა 100 ლარი).

/იხ.დანართი #1 /

2. დამატებული ღირებულების გადასახადი

ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელად აღრიცხვაზე დგას 2014 წლის 09 ივლისიდან. ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა 2014 წლის დღგ-ს დეკლარაციები, სადაც რაიმე უზუსტობები არ გამოვლენილა.

შესამოწმებელ პერიოდში დღგ-ით დასაბეგრმა ბრუნვამ შეადგინა 91 533,06 ლარი, დარიცხულმა დღგ 16 475,95 ლარი, ხოლო ჩათვლა 945,76 ლარი, შესაბამისად გადასახდელი დღგ შეადგენს 15530,19 ლარს.

შესამოწმებელ პერიოდში ჩვენს მიერ შემოწმდა ეკონომიკური საქმიანობის

შემოსავლებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რაშიც გამოვლინდა ხარვეზი: კერძოდ ორგანიზაციას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები იმ პერიოდში როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დამატებული ღირებულების გადამხდელად რეგისტრირებული, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის შესრულება ხდებოდა როგორც დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციამდე ასევე რეგისტრაციის შემდგომ, მაგრამ არ არსებობს რაიმე დამატებითი შეთანხმება რომ საკომპენსაციო თანხა მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადსაც.

ჩვენი რეკომენდაციაა ორგანიზაციამ მოახდინოს აღნიშნული საკითხის იურიდიულად გამყარება, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ გამოყენებული იქნება სიტუაციური სახელმძღვანელო #1142, რაც გამოიწვევს დღგ-ს დამატებით დარიცხვას.

აქვე ავლნიშნავთ, რომ შესამოწმებელ პერიოდში ორგანიზაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომლებიც ნაწილობრივ მოიცავს ბარტერს, რაზეც ორივე მხარეს გამოწერილი აქვს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რაზეც ჩათვლა განხორციელებულია ფაქტურის შესაბამისად.

სსკ-ის შესაბამისად ბარტერის დროს:

„საქონლის მომსახურეობის გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია საქონლის მომსახურეობის მიწოდებელი თითოეული მხარისათვის ითვლება საქონლის/მომსახურეობის საბაზრო ფასით რეალიზაციად, ხოლო საქონლის/მომსახურეობის თითოეული მიმღებისათვის საქონლის მომსახურეობის იმავე საბაზრო ფასით შეძენა“.

„ბარტერული ოპერაციის ღირებულების შემცირებულად ჩვენებისას, საგადასახადო ორგანო ახორციელებს დაბეგვრის ობიექტის კორექტირებას საბაზრო ფასებით და ახდენს გადასახადის ხელახალ გამოანგარიშებას, საგადასახადო სამართალ დარღვევისათვის განსაზღვრული სანქციების გათვალისწინებით“.

„ბარტერული ოპერაციის დროს დღგ-ს ჩასათვლელი თანხა არის: დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს შორის საქონლის/მომსახურეობის გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში თითოეული მხარისათვის მიწოდებულ საქონელზე, გაწეულ მომსახურეობაზე გადახდილი ან გადასახდელი დღგ-ს თანხა“. ამასთანავე ჩათვლა ხორციელდება სანაცვლო საქონლის/ მომსახურეობის მიღების მომენტში.

„საქონლის/მომსახურეობის გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არ გამოიწერება.“ ამ შემთხვევაში ჩათვლის მიღების საფუძველია მიწოდებულ საქონელზე, გაწეულ მომსახურეობაზე გადახდილი თანხის საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დღგ-ს დეკლარაციაში ასახვა.

ჩვენი რეკომენდაციაა, სხვა შემთხვევებში ბარტერული ოპერაციის დროს იხელმძღვანელოს აღნიშნული თეზისებით.

/იხ.დანართი #/

3. დღგ უკუდაბეგვრით

ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა 2014 წლის უკუდაბეგვრით დღგ-ს დეკლარაციები, სადაც რაიმე უზუსტობები არ გამოვლენილა.

შესამოწმებელ პერიოდში უკუდაბეგვრით დღგ-ით დასაბეგრმა ბრუნვამ შეადგინა 255 747,84 ლარი, ხოლო დარიცხულმა და გადასახდელმა დღგ-მ 46 034,61 ლარი.

სხვა მხვრივ ჩვენი აზრით საბუღალტრო დოკუმენტაცია წარმოებს სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენი რეკომენდაციები:

როგორც ცნობილია „ორგანიზაციას“ გააჩნია როგორც ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხები, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

სსკ-ის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ამის გამიჯვნა შეუძლებელია ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკურ საქმიანობით მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი“.

ჩვენი რეკომენდაციაა, მოგებისა და ქონების წლიური დეკლარაციების შედგენა მოახდინოს, ზემოთ აღნიშნული მუხლის შესაბამისად.

ორგანიზაციას შესამოწმებელ პერიოდში გააჩნია „წარმომადგენლობითი ხარჯები“.

სსკ-ის მე-8 მუხლის 33-ე პუნქტის შესაბამისად წარმომადგენლობითი ხარჯი არის: პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომლის გამოქვითვა ხდება საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის (ეკონომიკური) არაუმეტეს 1%-ის ოდენობით. აქვე აღნიშნავთ, რომ ორგანიზაციას გააჩნია როგორც ბიუჯეტიდან დაფინანსება, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ჩვენი რეკომენდაციაა წარმომადგენლობითი ხარჯების გამოქვითვის დროს დაიცვას ხვედრითი წილი სსკ-ის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.